ფინიში ეფექტური იქნება

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 3 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - ცსკა - 0:0.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე (ილიადი), პეტრიაშვილი, კუტივაძე (ცხოვრებოვი), ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ცსკა: პშენიჩნიკოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, უტკინი, პლახეტკო, მასლიაევი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, დუდარენკო.

მსაჯი: მ. პინსკი (ხარკოვი).

დავანებოთ თავი იმას, რომ ამ მატჩში გამარჯვებით ერთ-ერთი მხარე საგრძნობლად გაიუმჯობესებდა საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს. ჩემპიონატის მოცემულ ეტაპზე სატურნირო ცხრილმა იმდაგვარი სახე მიიღო, რომ თბილისის “დინამო” და მისი გულშემატკივრები ყველაზე მეტად ცსკა-ს შინაური საქმეების ანალიზით არიან დაკავებულნი და პირუკუ - არმიელებს მოსვენებას არ აძლევს თბილისელთა ერთგვარი გააქტიურება ტურნირის ფინიშზე.

გუშინწინდელ მატჩს სხვა პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა მოასპარეზეთათვის. ჯერ ერთი, “დინამოსა” და ცსკა-ს შეხვედრათა ტრადიცია, რომელიც საბჭოთა ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია, ცხადყოფს, რომ 30-წლიანი უკომპრომისო ბრძოლაში არმიელებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ (ცსკა-მ 24 შეხვედრა მოიგო, 18 წააგო და 9 ფრედ დაამთავრა, ბურთების სხვაობა 91-72 მისსავე სასარგებლოდ).

შემდეგ, ცსკა-ცა და თბილისის ”დინამოც” ჩვენი დღევანდელი ფეხბურთის მოწინავეთა რიგებშია. გუნდები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხელწერითA და მსოფლმხედველობით. გუშინწინდელ მატჩს ამაზეც უნდა გაეცა პასუხი - რომელი ხელწერაა უფრო საიმედო და ეფექტური, ის რომელსაც აგერ უკვე რამდენი წელია ნერგავენ არმიელები, თუ ის, რომელზეც აქცენტს “დინამო” სვამს. ერთი სიტყვით, ბრძოლას წმინდა სატურნირო ღირებულების გარდა, ერთგვარი თეორიული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

სამწუხაროდ - უნდა ჰქონოდა. სინამდვილეში კი ქულის აღების დაუოკებელმა სურვილმა მთლიანად შეცვალა ბრძოლის ხასიათი და ეს ბრძოლა, ჩემპიონატის რიგით მატჩს დაამსგავსა ერთი განსხვავებით. ცალკეულ მოთამაშეთა საშემსრულებლო ოსტატობა მაინც მაღალ დონეზე იდგა. არმიელთა დაცვა - სსრ კავშირის ნაკრების დაცვაა, მინუს ძოძუაშვილი და ხურცილავა. ასე რომ, თბილისელი ფორვარდების წინაშე ერთობ რთული ამოცანა იდგა.

წინასწარ უნდა ვთქვათ: ცსკა-ს დაცვამ უზრუნველყო თავისი კარის უსაფრთხოება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამის მისაღწევად აშკარად მიმართავდა წესებით აკრძალულ ილეთებს. ცსკა ბოლო წლებში არ გამოირჩევა თამაშის სიმსუბუქით, მაგრამ გუშინწინდელ მატჩში ზოგიერთი მისი ფეხბურთელი უდაოდ ზომას სცილდებოდა. აი თუნდაც უტკინი, ახალგაზრდა ნახევარმცველი, რომელმაც თუ არ ვცდები, ყველაზე მეტჯერ მიიქცია მსაჯისა და აღშფოთებული მაყურებლის ყურადღება. ასევე თამაშობდა

კაპლიჩნიც. მატჩის სანახაობრივი მხარე გაცილებით მეტს მოიგებდა, არმიელ მცველებს მაგალითი თავიანთი ლიდერის შესტერნიოვისგან რომ აეღოთ.

უცნაური პოზიცია ეკავა წესრიგის დამრღვევთა მიმართ არბიტრ მ. პინსკის. დაუსრულებელმა შენიშვნებმა და გაფრთხილებებმა ფეხბურთელებს მოუხსნა პასუხისმგებლობის გრძნობა და ვინაიდან მსაჯი აშკარად ერიდებოდა რადიკალური ზომების მიღებას, უტკინსა და მის თანამოაზრეთ ფართო სამოქმედო ასპარეზი გაეხსნათ.

საერთოდ, მსაჯის ორჭოფულმა გადაწყვეტილებებმა ლამაზი, ტემპიანი და აზარტული ბრძოლა ბოლოს და ბოლოს გამოცანას დაამსგავსეს. მაყურებლებმა თამაში უცნაური, გაურკვეველი გრძნობით დატოვეს. რა მოხდა ბოლოს და ბოლოს ვერავინ გაიგო. რატომ არ ჩაითვალა თამაშის მიწურულს არმიელთა კარში გატანილი გოლი, ან რა წუნი ედო ცსკა-ს საპასუხო ბურთს, კაცმა არ იცის. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, მოხდა იმიტომ, რომ მსაჯმა თავიდანვე ლიბერალური პოზიცია დაიკავა და ხელში ვერ აიღო ბრძოლის სადავეები.

ისე კი, მასპინძლების უპირატესობა ორივე ტაიმში აშკარა იყო, ისინი უფრო აზრიანად მოქმედებდნენ თავდასხმაში და რამდენიმეჯერ კარის აღების ხელსაყრელი მომენტიც კი ვერ გამოიყენეს. “დინამომ” დაკარგა მეტად საჭირო ქულა. ეს, რა თქმა უნდა, დასანანი ფაქტია, მაგრამ თამაშის ხარისხის თვისობრივი გაუმჯობესება საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თბილისელებს ეფექტური ფინიში ექნებათ.

ნ. გუგუშვილი.
“ლელო”, 5 ოქტომბერი, 1969 წ.